**გაზეთი ღირს**

| თვეე | მან. კ. | თვეე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891


ამ ნომერში ათი გვერდია.


**ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკი** საყოველთაოდ აცხადებს რომ:

1) ხანგრძლივ-ვადიანს სესხს იძლევა უძრავს ქონებაზე: ტფილისის გუბერნიისა, ერევნისა, ბაქოსა, განჯისა, ქუთაისისა და სუხუმის განყოფილებაში.

2) ხანგრძლივ-ვადიან სესხის გატანა შეუძლიან, ვინც: 1) სახნავ-სათიბსა და სატყეო ადგილებს დააგირავებს 61 წლითა და 8 თვით, $54\frac{1}{2}$ წ., 48 წ. 8 თ. და $43\frac{1}{2}$ წლით და 2) ქალაქის უძრავს ქონებას დააგირავებს 36 წ. 4 თ., 29 წ. 9 თ., $27\frac{1}{2}$ წ., 19 წ. 11 თ. და 18 წ. და 7 თვით.

3) მსესხებელი ვალდებულია გატანილს სესხში ყოველ ექვსის თვისა ამ თავით გადაიხადოს: თუ $54\frac{1}{2}$ წ. $43\frac{1}{2}$ წ., $27\frac{1}{2}$ წ. და 18 წ. 7 თ. აქვს გატანილი სესხი, $3\%$ სარგებელი; თუ 61 წ. 8 თ., 48 წ. 8 თ. 36 წ. 4 თ., 29 წ. 9 თ. და 19 წ. 11 თ.—$2\frac{1}{2}\%$.

4) აღებულ სესხის გადასახდელად მსესხებელმა ყოველ ექვსის თვისა ამ თავით უნდა გადაიხადოს: თუ სესხი გატანილი აქვს 61 წ. 8 თ. და $54\frac{1}{2}$ წ.—$\frac{1}{8}\%$, თუ 48 წ. 8 თ. და $43\frac{1}{2}$ წ.—$\frac{1}{4}\%$, თუ 36 წ. 4 თ.—$\frac{1}{2}\%$, თუ 29 წ. 9 თ. და $27\frac{1}{2}$ წ.—$\frac{3}{4}\%$ და თუ 19 წ. 11 თ. და 18 წ. 7 თ.—$1\frac{1}{2}\%$.

5) ყოველ ამას გარდა მსესხებელმა უნდა გადაიხადოს ყოველ ექვსის თვისა ამ თავითვე საზოგადო კრების დადგენილებისამებრ: თუ სოფლის მამული აქვს დაგირავებული და დამფუძნებელი წევრია—$\frac{1}{8}\%$, თუ დამფუძნებელი წევრი არის—$\frac{1}{2}\%$ თუ ქალაქის მამული აქვს დაგირავებული—$\frac{1}{2}\%$ სულ ერთია, დამფუძნებელი წევრი იქნება, თუ არა. (3—87—1)


## ახალი ამბავი

—

*** მთავარ-მართებლის თანაშემწე გენერალ-ლეიტენანტი გრაფი ი. დ-ძე ტატიშჩევი კვირას, 30 ივნისს, ქალაქიდამ კოჯორს გაემგზავრა, სადაც მთელს ზაფხულს დაჰყოფს.

*** უწმინდესი სინოდი აპირებს, სახელმწიფოს ყველა კუთხეში სახალხო განათლების უმაღლესი საბჭოების დაარსებას. ამ საბჭოს ხელში იქნება საეკკლესიო-სამრევლო სკოლებში სწავლა-განათლების მსვლელობის საქმე და თვალყური უნდა ადევნოს ამ სკოლებში სარწმუნოებრივისა და ზნეობრივ განათლებისა და აღზრდის საქმეს. საბჭოს თავმჯდომარედ იქნებიან ადგილობრივი მღვდელ-მთავრები და წევრებად სასულიერო და საერო კაცნი.

*** გუშინ ქალაქში ხმა გავრცელდა, რომ გუშინწინდელს პირველ შინაგან სესხის მომგებიან ბილეთების ტირაჟში, უმთავრესი მოგება—ორასი ათასი მანეთი რგებია ებრაელს ქ-ნს პორტუგალოვისას, რომელსაც მაღაზია აქვს სოლოლაკის ქუჩაზედ.

*** ბეითალს ნ. ი-ძეს მეშჩერსკის ქალაქის გამგეობასთან ხელ-შეკრულობა აქვს ქალაქში მაწანწალა ძაღლების დახოცვისა და დახოცილის ძაღლების აკრების შესახებ. 1887 წლიდამ ეს საქმე ბ-ნს მეშჩერსკის ხელშია და მოკრებილის ძაღლების ტყავის გამოსაყენებლად გამართა კიდეც ვარდანის ქალაში ქარხანა. ეხლა ი. მეშჩერსკის გამოუცხადებია გამგეობისათვის, ჩემი მოვალეობა ქალაქის წინაშე მინდა სხვას გადავსცე და, რადგან ხელ-შეკრულობის მე-8 მუხლის თანახმად ამის ნება მაქვსო, გთხოვთ, მთელი ჩემი მოვალეობა გადაიტანოთ იმ კაცზე, რომელსაც მინდა გადავსცე ჩემი საქმეო.

ეს კაცი ფერშალი სიმონ ივანეს ძე მაკაროვია, რომელიც რიყის ქუჩაზე, გვრიტიშვილის სახლში სცხოვრობს.

*** მეორე სასანიტარო ექიმის თანამდებობა ქალაქის გამგეობამ ჩააბარა ექიმს სტეფანიანცს.

*** მეორე თუმანოვის ქუჩაზე გუშინ-წინ, ამ თვის 1-ს, შემდეგი უბედურება დატრიალდა. ერთს ვიღაცა გლეხს მოჰყავდა ბუღა ხარი, რქებზე თოკ მობმული. ხარი აქეთ-იქით აწყდებოდა სარჩოლად და ხალხი შიშით სულ დაჰფანტა. ცოტა ხნის შემდეგ ბუღა ეცა გლეხს და რქებით გადაისროლა ორს ადლზე. შემდეგ ზედ შეადგა, რქებით ასწია ჰაერში და გადაისროლა იქით. გამვლელები ჰხედავდნენ ამ საზარელს ამბავს, მაგრამ ვერავინ ჰბედავდა ახლო მისვლას, ვიდრე ერთი კინტო არ ეცა ხარს, არ წაავლო რქებში ხელი და ძირს არ დაავდო. დაჟეჟილი გლეხი პოლიციაში წაიყვანეს.

*** „ქართულ წიგნების მბეჭდავმა ამხანაგობამ" კარგი საქმე განიზრახა, რომ ქართულ წიგნის ვაჭრობას უფრო ფართო გზა მისცეს. „ამხანაგობას" უკვე მიუღია ქალაქის გამგეობისგან ნებართვა იჯარით აღებისა ალექსანდრეს ბაღში იმ ადგილსა, სადაც დღეს ყორღანოვის მილის წყლის თავ-მოსაყარი პატარა მრგვალი ქვითკირის აუზია აშენებული, ქაშვეთის ეკლესის მხარის კუთხეზედ. „ამხანაგობა"-ს უნდა ეს შენობა ბ-ნ ყორღანოვისაგან შეიძინოს, გადააკეთოს და წიგნის ვაჭრობა გამართოს. მოავალს გაზაფხულს ამ ადგილის გარშემო გააშენებენ ყვავილებსაც.

ამას გარდა „ამხანაგობა"-ს განუზრახავს, ქალაქის სხვა-და-სხვა ნაწილშიაც—კუკიასა, ავლაბარსა და კორპუსის გვერდით, ბარზის მოედანზედ, გამართოს წიგნის ვაჭრობა. ამ მოკლეს დროში სხვა ადგილებშიაც გამართავენ წიგნის ვაჭრობას.

*** მგლის თავზე სახარებასა კითხულობდნენ და ის ისევ ტყეში გაიცქირებოდაო. ჩვენის ცხენის რკინის გზის ამბავიც სწორედ ასეა. ვინ იცის რამდენს უსაყვედურებს პოლიცია, ხალხი თუ გაზეთები და ვერა და ვერ გამოაფხიზლეს. გზის მეთვალყურედ და მეეტლებად ზოგ-ზოგი ისეთი დუღუღა კაცი ჰყავთ, რომ ვერც დროზე გააჩერებენ ვაგონს, რომ უბედურება არ მოხდეს, და ვერც გზას ადევნებენ რიგიანად თვალსა. გუშინ-წინ ღამის $11\frac{1}{2}$ საათზე წინაღამ ერთი უბედურება არ მოახდინეს. მადერის რესტორანის გვერდით ვერის ხიდიდგან რამდენიმე ვაგონი მოსულიყო და გაჩერებულიყო: შინ წასვლას აპირობდნენ, მაგრამ უცდიდნენ, ჯერ სხვა ვაგონებმა ჩამოიაროსო. გზის მეთვალყურე ბიჭს მუშტაიდიდგან მომავალ ვაგონებისთვის სწორედ ამ ვაგონებისაკენ გადმოეხსნა გზა. ზედ დატანებაზე გაქანებული ვაგონიც მოდიოდა. ვერც მეეტლემ შეაყენა დროზე და ის-ის იყო ერთმანეთს დაეჯახებოდა ვაგონიებ, რომ ხალხს არ შეეყენებინა. ვაგონებს შუა სულ ნახევარ ადლი ადგილი აღარ დარჩენილა. კიდევ კარგი, რომ ერთი ვაგონი იდგა, თორემ, ისიც რომ მიდენილიყო, სწორედ ერთი რამ ამბავი მოხდებოდა. ვაგონში მჯდომმა ხალხმა მაინც-კი კარგი შიში სჭამა, გადმოხტა და ისევ ფეხით წამოსვლა არჩია.

*** სოფელი ცხრუკვეთი (შორაპნის მაზრა): 27 ივნისს სოფელს სკინდორში, დაესხნენ ღამით ავაზაკები ერთს ქვრივს ქალს, რომელსაც ფულს ეგულებოდნენ. ამ ქვრივს ქალს ერთი ვაჟის მეტი არა ჰყავდა-რა. ავაზაკებმა შვილი მოუკლეს, თვითონაც მძიმედ დასჭრეს და ფულიც წაიღეს, რაც მოეძებნებოდა. საქმე შესდგა, გაგრამ, ვინ იცის, როგორ წავა. ამას წინადაც მოჰკლეს კაცი გზაზედ, მაგრამ როგორ ჩაიფარცხა ეს საქმე, მარტო ერთმა ღმერთმა იცის. მოჰკლეს აგრეთვე სოფელსს მოგვში ერთი კაცი; მოჰკლეს სოფელს ბაკონევში კაცი. ეს სულ ამ იანვრის აქეთ გახლდათ. რაც შეეხება წვრიმალს ქურდობას, ეს რომ მოვყვე, შორს წაგვიყვანს. ჩვენში ღამით გლეხს თავისს სახლში მოსვენებით ვერა სძინავს. სიცივით რომ კვდებოდეს, მაინც თავისს მარანშია და ჰყარაულობს ჰურებს. თუ ასე არა ქმნა, მეორე დღეს ღვინო აღარ დაუხვდება იქ. აი ამნაირს შეწუხებულს მდგომარეობაში არის აქეთ ჩვენი ოფლები. ყველა იმას ეხვეწება ღმერთს, რომ როგორმე დამშვიდდეს აქაურობა და ყველას გემრიელად შეეძლოს ლუკმა-პურის ჭამა, მაგრამ არ იქნა და არა გვეშველა-რა. ახლა გაჩნდა ხევის თაობა და ვნახოთ, როგორ წავა საქმე.

*** სოფ. კულბითი (გორის მაზრა): 30 ივნისს, შუადღისას დაეცა სოფელს კულბითში მცხოვრებელის გლეხის ს. გუგუტიშვილს სახლს ხუთი ცხენოსანი ავაზაკი, რომელნიც თავით ფეხამდე იარაღში ისხდნენ. ორნი სახლის ბანზედ ავიდა და ბერდანის თოფებით დაიწყეს სროლა ოთხივ კუთხივ შუა სოფელში. თან იძახდნენ, არავინ მოხვიდეთ ახლო, თორემ სოფელს ამოვწყვეტავთო. დანარჩენი, სამი-კი შევიდა სახლში, დაადგნენ თავზედ ს. გეგუტაშვილსა და უთხრეს, ამოიღე ფული, სადა გაქვსო? სახლის პატრონმა უარი ჰსთქვა, ფული არა მაქვსო. ამაზე ერთმა ავაზაკმა დაჰკრა ხმალი და მარჯვენა მხარი ჩამოაჩეხა. ორმაც შიგ გულში ბერდანის თოფები მიუშვირა, შემდეგ ესროლეს და იქვე გაათავეს. გამოვიდნენ ავაზაკები და მიუგზავნეს კაცი იმავე სოფლის მღვდელს გ. ოქროპირიძეს და ერთს იქვე მცხოვრებელს გლეხს: თქვენი ცხენები გამოგვიგზავნეთო. ორივეს მართლაც ძალიან კარგი ცხენები ჰყავდათ. რა ექნათ? მღვდელმა და გლეხმა კაცმა მაშინვე თავიანთი ცხენები შეუკმაზეს და მიართვეს. ავაზაკებმა საბადლოდ დაუტოვეს ორი უხეირო ცხენი და გაუდგნენ თავიანთს გზას. ავაზაკები სოფლის ხალხმა ვერ იცნო, ვინ იყვნენ. არ ვიცით, რა ვქნათ. ცალკე ღამის ტეხა გვაწუხებს და ცალკე—შიში. დღე არ გავა, ამისთანა საზარელი ამბავი არსაით არ მოხდეს ჩვენს მაზრაში და ყველა მოელის ასეთს უბედურებას.

---

### არჩილური შვიდ-თავი,

(საამდროო ამიცანები)

—

Დიდება ერის გონების თვალ-წინ
უწყვია ამასა,
Ორ-კეც ლვაწლს აწვევს, აგონებს,
აყვარებს მამა-პაპასა,
Ნარკვევს ასაქმებს საკვლევად, განუ-
წყობს საძევს დამასა,
— Ისტორიისა ფერადსა წინ უყრის,
ვითა ტრამასა;
Აწყობს ესეცა, რაც ძალ-უძს, სია
ნუსხათა წერითა,
Გასწმენდს ნელ-ნელა, მგონია, ძველ-
წიგნთ დაბუნდულთ მტვერითა,
Ორჭოფობს ზოგჯერ, მაგრამ მეტს
რას იქმს ჯერ „მზერა-ჭერითა".
Სხვაგანც, რომ მგზავრობს,—კი ვშიშობ—არ გაცდეს სხვა „ნაჭერითა!"

---

### ბ-ნ მოსე ჯანაშვილის წერილის გამო

(წერილი რედაქციის მიმართ)

„ივერიის" № 127-ში ბ-მა მოსე ჯანაშვილმა დაბეჭდა წერილი, რომელშიაც გაკიცხულია ჩემი გამოცემული წიგნაკები და პირადად მე შემკობილი ვარ „დაუდევარის", „გაუგებარის" და „მტკნარის უმეცარის" „ეპიტეტებით". ამას სწერს ის ბ-ნი მოსე ჯანაშვილი, რომლისაგანაც სიტყვიერად არა ერთხელ მსმენია ქების სიტყვები იმავე წიგნაკების შესახებ, მაგრამ ის რა მოსახსენებელია, რაც ჩვენ შორის სიტყვიერად იყო ნათქვამი; მივმართოთ თვით წერილობითს საბუთს.

შარშან შემოდგომაზედ ბ-მა მოსე ჯანაშვილმა საინგილოდგან ჩამოიტანა ტფილისში ერთის წარწერის პირი და მთხოვა, წამეკითხა. წარწერა ცუდად იყო დაცული, თუ ცუდად იყო გადმოღებული, არ ვიცი (ვგონებ, ერთიც იყო და მეორეც), მაგრამ, მართალი მოგახსენოთ, მე ბევრი ვერაფერი გავიგე იმ წარწერისა. ამ წარწერას მოსე ჯანაშვილმა ჩვეულებრივ გაზვიადებული წერილი უძღვნა „ივერიაში" და მე ამ სიტყვებით მოიხსენია: „ტექსტის აღსადგენად ხსენებული წარწერა პალეოგრაფიულის წესით გადმოვიღეთ ცალკე ქაღალდზედ და ქალაქში გავასინჯეთ აგრეთვე დღეს ძველის ნაწერების ერთს უკეთესს წამკითხველთაგანს, ბ-ს ექ. თაყაიშვილს („ივერიია" № 13, 1891 წ.) ამ რამდენისამე თვის წინად ძველის ნაწერების ერთი უკეთესი წამკითხველი ვიყავი, ეხლა „მტკნარი უმეცარი" ვარ იმავე კითხვაში!

ამას შემდეგ ბ-ნი მოსე ჯანაშვილი კიდევ გვარწმუნებს, რომ ის პატივის მცემელია ჩემი, და უნდა მკითხველი დააჯეროს, რომ მას პირადის უსიამოვნებით და განზრახვით არ დაუწერია ეს წერილი ჩემ წინაამდეგ. მაგრამ ფიცი ფიცია და ბოლო-კი მაინც გასაკვირველად რჩება. არა თუ კილო მთელის წერილისა, არამედ თითოეული სტრიქონი წერილისა ცხადად ჰხატავს ამ პირადობას, შურს და ბოროტის განზრახვით გამოლაშქრებას ჩემ წინაამდეგ. დიაღ, აქ პირადობაა, და ერთად ერთი მიზეზი ამ პირადობისა ის გახლავთ, რომ მე „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" გამგეობისაგან მონდობილი მაქვს თვალ-ყურის გდება საზოგადოების ბიბლიოთეკისა, გარჩევა და ცნობაში მოყვანა ახალის შემოწირულ ხელ-ნაწერებისა და სხვა. ეს გარემოება არაფრად იამა მოსე ჯანაშვილს, რომელიც წელს საზოგადოების საქმის მწარმოებლად ამოვირჩიეთ. ამის შესახებ საყვედური მან გამგეობაშიც განაცხადა და იქვე გაგვიჯავრდა: მე აღარაფრად მაგდებთო, ეს ჩემი ნდობა არ არისო და სხვა. არც ის ეპიტნავა, ზოგიერთისა არ იყოს, რომ გამგეობამ მე მომანდო კატალოგის შედგენა.

ბ-ნი მოსე ჯანაშვილი, ათი-თორმეტი წელიწადია, რაც მწერლობს, ჩვენს წარსულ ცხოვრებას იკლევს, საერო და საეკკლესიო ისტორიებიც დაბეჭდა და სტატიებს მისას ხომ რიცხვი აღარა აქვს; კვირა არ გაივლის ისე, რომ მისი სტატია არ იყოს გაზეთში. რას

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ეხება ამ სტატიებში? ისტორია, არხეოლოგია, პალეოგრაფია, ლინგვისტიკა—ყველაფერი გადაატრიალა და გამოიკვლია, მაგრამ მაინც ღირსეულად ვერ დააფასეს ბ-ნი ჯანაშვილი; თითქო მას რაღაც ჯადოს წრე აქვს შემოვლებული და ეს წრე მოსე ჯანაშვილს მოსე ჯანაშვილის როლში სტოვებს ყოველთვის. როდესაც რამე საყურადღებო კითხვა იქნება ისტორიის, თუ არხეოლოგიის შესახებ, მაშინ მოსე ჯანაშვილი აღარავის არ ახსოვს. ამდენს ხანს ბ-ს ჯანაშვილს შესაფერი ადგილი არა ჰქონდა, ეხლა, რაკი, წერა-კითხვის საზოგადოების საქმის მწარმოებელი გახდა (აბა ის რა მოსახსენებელია, როგორ დაგვედრიჯა და გვთხოვა თითოეულის წევრს, რომ ის ამოგვერჩია საქმის მწარმოებლად), ასე ეგონა აკადემიის პრეზიდენტი შევიქენიო. აწი მაინც დამაფასებენო, იფიქრა, მაგრამ აქაც მოსტყუვდა: მოსე ჯანაშვილი, მოსე ჯანაშვილად დარჩა. არ ვიცი, რისთვის, მაგრამ მე უფრო მწყრალის თვალით შემომხედა. დრო იყო, ბ-ს თ. ჟორდანიას ეკირთებოდა, მაგრამ ეხლა პოლიტიკა გამოიცვალა. ამ ერთი-ერთმანეთის მოქიშპეთა პირი შეჰკრეს, ერთი-ერთმანეთი გადაკოცნეს, როლები გაიყვეს და ჩვენსკენ გამოილაშქრეს. ერთმა გარედგან მოიტანა იერიში, მეორემ შინიდგან გვილალატა. რაც ერთს დარჩა ლანძღვის ლექსიკონში სიტყვები, ის მეორეს ამოუკრებია. მოსეს აქაც უჯობნია თავის მოქიშპესათვის. ეტყობა, რომ ნამეტურ ვჯავრებივარ, თითქო ეხლა მე ვიყო მისი „ავტორიტების“ დამჩრდილველი.

რითი უნდა დაეკარგა საზოგადოების ნდობა ჩემზე, თუ არ ჩემის წიგნაკების კრიტიკით. კრიტიკა ხომ ჩვენში ლანძღვა გინებაა იმისი, ვისთანაც უკმაყოფილოდ ხარ, და პანეგირიკია იმისი, ვისთანაც კარგი განწყობილება გაქვს. ვნახოთ ეხლა ძალა ამ კრიტიკისა და ხერხები, რომელსაც ბ-ნი ჯანაშვილი ხმარობს.

მოსე ჯანაშვილი შენიშნავს რა, რომ შატბერდის კრებული ხელში ჰქონდათ და სტატიებიც უძღვნეს ამ კრებულს დ. ზ. ბაქრაძემ თ. ჟორდანიამ და მე, აქცევს ყურადღებას იმ გარემოებას, „თუ რა ნაირად და როგორ უგულოდ და უმეცრულად მოჰქცევიან ამ შესანიშნავს ნაშთს მისი მეცნიერულად (?!) შემსწავლელნი“, გაიგონეთ? ყველა და მათ შორის დ. ბაქრაძეც, უმეცრულად მოჰპყრობია ამ ხელ-ნაწერს და მოსე ჯანაშვილი ეხლა მეცნიერულად ეპყრობა! სხვა ყველა უმეცარი, მოსე ჯანაშვილი მეცნიერი!

საწყალი შატბერდის კრებული! რამდენი უხეტიალია ქვეყანაზე, სად არ ყოფილა, ვის არ ჰქონია ხელში ამ ცხრა საუკუნის განმავლობაში, და ეხლა ძლივსღა ჩაუვარდა ხელში მოსე ჯანაშვილს, რომ ღირსეულად და მეცნიერულად დაეფასებინა.

რა ნახა ამ კრებულში ისეთი, რომ ასე გაკადნიერდა მოსე ჯანაშვილიო? იკითხავს მკითხველი. რა ნახა, არ ვიცი, მაგრამ ეს-კი ბრძანა, კრებული სამეცნიერო ქრისტომატია არისო, შესანიშნავი არა თუ ჩვენ ქართველთათვის, არამედ საზოგადოდ მთელის მსოფლიო ისტორიისათვისაც, რადგან იგი შეეხება მსოფლიო საკითხავებს და ფრიად საყურადღებო ცნობებს გვაძლევს საკაცობრიო ისტორიისათვის და მეცნიერებისათვისო“. სთქვა და გაათავა! მაგრამ ვინც ამას ასე ამაყად და თავმომწონედ ამბობს, ისიც უნდა განგვიმარტოს, რა არის ამ კრებულში ისეთი, გარდა „ქართლის მოქცევისა“, რომ მსოფლიო ისტორიისათვის უცნობია და ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს კაცობრიობისათვის? ნუ თუ „კაცისა შესაქმე“ გრიგოლ ნოსელ ეპისკოპოსისა, ანუ ეპიფანე კვიპრელის და ბასილი კესარიელის „სიტყვანი“, იპოლიტეს „განმარტებანი“, ანუ ცხოვრება იაკობ ნასიბინელისა და იმავე ეპიფანე კვიპრელის „განმარტებანი ფსალმუნთა“—ცნობილნი არ არიან მსოფლიო მწერლობაში? ნუ თუ უმეტესი ნაწილი ამ წერილებისა ჩვენს მწერლობაშიც ცნობილი არ არის და მათი სხვა ვარიანტებიც არა გვაქვს? ან, ის მინდა შევიტყო, რა ახალი აზრია ეს, რომ ბერძნული ანბანი ფინიკიურიდგან გადმოიღესო, ან და გოგ და მოგოგში დავითი იხსენიებს ჩრდილოეთს ერსაო. თითქო ეს აზრები პირველად შატბერდის კრებულიდგან გვესმოდეს და მეათე საუკუნემდე ცნობილი არ ყოფილიყოს, მაგრამ ეგ რა გასაკვირველია: მოსე ჯანაშვილისთვის არა თუ ყველაფერი ეს ახალია, არამედ ვახტანგ მეფის სურათიც ვახტანგის მიერ დაბეჭდილს წიგნზე ახალი აღმოჩენაა. ამას წინად ვიღამაც „წერა-კითხვის საზოგადოებაში“ მოიტანა საფლავიდგან ამოღებული ნაგლეჯი ვახტანგის მიერ დაბეჭდილის წიგნისა და ერთს ფურცელზე ვახტანგის სურათი იყო გამოხატული. მოსე ჯანაშვილმა აღწერა ეს სურათი „ივერიაში“ და ისეთ აღმოჩენად ჩასთვალა, რომ გეგონებოდათ, ამერიკა ახლად აღმოუჩენიათო, მაშინ როდესაც არა თუ ასეთს ნაგლეჯებს, არამედ მთელს წიგნებსაც ვახტანგის სურათით არა ერთობით და არა ათობით მოუღწევია ჩვენამდე.

ყველაზე უფრო გასაკვირველი ის არის, რომ მოსე ჯანაშვილი მადებს თავზე მთელის კრებულის რედაქტორობას, თითქო კრებული მე სრულად გამომეცეს, ან გამოცემა მდომოდეს. მე, როგორც მოგეხსენებათ, „ქართლის მოქცევა“ გამოვეცი და კრებულის შესახებ წინა-სიტყვაობაში შევიტანე საზოგადო ცნობები; ვუჩვენე ყველა სტატია, მოვიყვანე ნიმუშები ამ სტატიისა, ამოვიღე კრებულიდგან ყველა წერილები და წარწერანი, რომელთაც, ჩემის აზრით, მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენის ისტორიისა და ლიტერატურისათვის, განვმარტე ეს ცნობები, როგორც შემეძლო, ვუჩვენე დრო, რომელსაც ეკუთვნის ხელ-ნაწერი, და აღვნიშნე, თუ ვინ არიან ამ კრებულში მოხსენებულნი პირნი. მაგრამ ისეთს მეცნიერს, როგორც მოსე ჯანაშვილია, ეს როგორ დააკმაყოფილებს, ის ყოველთვის და ყოველგან ამერიკას აღმოაჩენს. შეიძლება, რომელისამე დიაკონისათვის ფსალმუნის განმარტებას მეტი მნიშვნელობა ჰქონდეს, ვიდრე იმ წერილებს, რომელნიც ჩვენ მოგვყავს, მაგრამ ეს კიდევ ჩვენთვის სავალდებულო არ არის.

ამაებს თავი დავანებოთ, ეს ყველაფერი წინა-სიტყვაობაა, და თავი აზრი მოსე ჯანაშვილის წერილისა ის არის, რომ ჩემს გამოცემულს წიგნაკებს ფასი დაუკარგოს და ჩემი „მტკნარი უმეცრება“ დაამტკიცოს. ნეტავი რა ცოდვა ჩაგვიდენია ასეთი? რისთვის ვართ მტკნარი უმეცარი? „მტკნარი უმეცარი“ მისთვის ვყოფილვართ, რომ ოთხი ხუთი ფრაზა და რამდენიმე სიტყვა გამოგვიშვია ბეჭდვის დროს, კორექტურული შეცდომა მოგვსვლია, რომელიც არ აღგვინიშნავს, და კიდევ მისთვის, რომ ზოგიერთი სიტყვა მოსე ჯანაშვილს თვით ვერ წაუკითხავს ჯეროვანად და ჩემის მტკნარის უმეცრებისათვის მოუწერია. ბ-ნს ჯანაშვილს მოჰყავს რამდენიმე ჩვენ მიერ გამოშვებული სტრიქონი და რომ ამ სტრიქონებმა მეტი ადგილი დაიჭიროს და მკითხველს დიდად მოეჩვენოს, იმ რიგით, მოჰყავს, როგორც დედანშია (დედანში წერა ორსვეტიანია); მაგრამ ეს კიდევ არაფერი, ამ სტრიქონების შესახებ მოსე ჯანაშვილი შენიშნავს, რომ „ბ-ნს თაყაიშვილს სრულიად გამოუტოვებია ანუ ვერ წაუკითხავს ფრიად შესანიშნავი ადგილი ტექსტისა და ერთის სიტყვითაც არ მოუხსენებია, რომ დედანში არის რვა სტრიქონი, რომელიც ვერ წაუკითხეო და ჩემის რედაქტორობით გამოცემულს წიგნში ვერ ჩავბეჭდეო“. მიკვირს, რად ხმარობს ესეთს არასაკადრის ხერხს ბ-ნი ჯანაშვილი? შეიძლება ჯავრმა და პირადმა უკმაყოფილებამ გააბოროტოს კაცი, მაგრამ განა ამ ზომამდე? განა ერთი ან ორი მაგალითი აქვს იმავე ხელნაწერში ბ-ს ჯანაშვილს, რომ მე აღმიდგენია გადასული და ძლიერ წაბღალული ადგილები ტექსტისა და ის ვეღარ გავარჩიე და ვერ ამოვიკითხე, რაც ყველაზე უფრო ნათელი და ყველასათვის საკბილოა? ან რომელიმე გამოშვებული სიტყვა, რომელსაც მოსე ჯანაშვილი უჩვენებს, მისთვის არის გამოშვებული, რომ კარგად გასარჩევი არ არის და მე ვერ წამიკითხავს? განა თუ რამე ამოშლილი ყოფილა და წაკითხვა შესაძლო არ ყოფილა, დაწვრილებით არ აღმინიშნავს? ესენი ყველაფერი კარგად იცის ჩვენმა მოსემ, ამისი არა ერთი და არა ოცი მაგალითი აქვს, მაგრამ განგებ თვალი დახუჭა და ისიც ვეღარ შეამჩნია, თუ რა არ-სასაკადრისი ხერხია ეს, და როგორ ასურათებს თვით კრიტიკოსის ღირსებას. არც ის გაახსენდა ჩვენს კრიტიკოსს, რომ სხვასთან პირადის უსიამოვნებისათვის განზრახ არ უნდა ავნოს „საზოგადოების“ ინტერესს, რომლის დასაცველად და გასაძლიერებლად თვითონ არის მიწვეული (მოსემ კარგად უნდა იცოდეს, რომ ერთი წიგნი საზოგადოების ხარჯით გამოიცა). რაც უნდა ყურადღებით მოეპყრო გამოცემას, მაინც ძნელი ასაცდენია, რომ ზოგიერთი სიტყვა და ფრაზა არ გამოგეპაროს კორექტურის დროს. განა ცოტაა ფრაზები და სიტყვები ბროსეს და განსვენებულის დ. ჩუბინაშვილის გამოცემულს „ქართლის ცხოვრების“ წიგნებში? განა ცოტა ადგილებია გამოშვებული დ. ზ. ბაქრაძის რედაქტორობით გამოცემულს ვახუშტის ისტორიაში? (ეს თვითონ, როგორც მახსოვს, ბ-ნმა ჯანაშვილმა შენიშნა „ივერიაში“). მაგრამ ამისთვის გამომცემლებს „მტკნარი უმეცრება“ უნდა დავწამოთ? ქვემოდ მკითხველი დაინახავს, რომ თვით ბ-ს ჯანაშვილს ერთს გუჯარში მეტი ფრაზები გამოუშვია, ვიდრე ჩვენ ორს წიგნში.

ბ-ნი ჯანაშვილი ზოგჯერ ისეთს წარწერაში გვიჩვენებს და გვისაყვედურებს, სიტყვა მიგიმატებიაო, თუ გამოგიშვიაო, რომელიც სხვებს არათუ არ წაუკითხავთ, არამედ არც შეუნიშნავთ, თუ წარწერა იყო. ასეთია, მაგალითად, ერთი მინაწერი მხედრულის ხელით პირველს გვერდზე. საეჭვო სიტყვა და ასოები ჩვენ აქ ფრჩხილებში ჩავსვით, მაგრამ ვერც ამით ავიცილეთ საყვედური. ხელ-ნაწერში ხშირია გადასული ადგილები, რომლის გარჩევა არავისთვის სავალდებულო არ არის. თუ ვინმე აღადგენს, მადლობელი უნდა ვიყოთ, თუ არა და ეს კიდევ არავის უმეცრებას არ შეადგენს. არც ის არის მეცნიერი, ვინც ერთ-ორს სიტყვას სხვას გაუსწორებს. განსვენებული დ. ზ. ბაქრაძე ხომ შესანიშნავი მკითხველი იყო ძველის ნაწერებისა, მაგრამ იმასაც აქვს ზოგჯერ შეცდომები. მაგალითად, მე-225 გვერდზე იმის საქართველოს ისტორიისა, შენიშვნაში, უკანასკნელს სტრიქონს ნათლის-მცემლის მამათა ცხოვრების მინაწერისას დ. ბაქრაძე კითხულობს ასე: „უკუ... წარვიდენ“. დედანში სწერია: „უკუწბილებულნი წარვიდენ“ (იხ. წ. ნინოს ცხ. გვ. VIII), სიტყვა „უკუწბილებულნი“ დედანში წაბღალული არ არის, არამედ ქარაგმით არის დაწერილი (უკუწბილბულნი) და წამკითხველს არ მოაგონდა, თუ რა სიტყვა იგულისხმებოდა ამ ქარაგმაში და ამისათვის სიტყვა აღარ დაამთავრა და წერტილები დაუსვა. ნუ თუ ეს უმეცრებად უნდა ჩაეთვალოს ვისმეს? იმავე დ. ზ. ბაქრაძემ დასდო დიდი ღვაწლი ჩვენის პალეოგრაფიის შესასწავლად და მოგვცა ანბანი და ნიმუშები ძველის მხედრულის გარჩევისა. მე მისივე შრომის შემწეობით და პირადად განსვენებულის დახმარებით შევისწავლე გარჩევა ამგვარის ძველის ნაწერებისა და ზოგი ისეთი მინაწერები გავარჩიე, რომელიც იმას არ გაურჩევია. მაგალითად, ერთს თამარ მეფის დროის გუჯარში, რომელიც მას შემოაქვს თავის პალეოგრაფიულს ტაბლიცაში, დ. ბაქრაძე კათალიკოსის სახელს „თეოდორეს“ მაგიერ „იოანეს“ კითხულობს და სამი უკანასკნელი მინაწერი გუჯრისა არ მოჰყავს და არც მათში მოხსენებულს პირებს უჩვენებს. მე თვით ეს გუჯარი ხელში მქონდა და დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი კითხვა უფრო მართალია აქ, მაგრამ განა აქედგან ის გამოდის, რომ მე დ. ბაქრაძეზე უკეთ ვკითხულობ? არა, ის ოცჯერ უკეთ კითხულობდა ჩემზე და მისმა შრომამ მასწავლა მე კითხვა და მიმაგნებინა შეცდომასაც. ძნელია პირველად გზის გაკვლევა ტყე-ღრეში, თორემ შემდეგ ცოტა უსწორ-მასწორობას ყველა ადვილად გაასწორებს. ბროსეს არხეოლოგიურს მოგზაურობაში იშვიათად არის მოყვანილი ისეთი წარწერა, რომელშიაც რაიმე შეცდომა არ იყოს, ამ შეცდომებს ხშირად ასწორებს დ. ბაქრაძე. იგივე დ. ბაქრაძე ხშირად უსწორებს კითხვას პროფესორს ცაგარელსაც, მაგრამ ამისათვის არც აკადემიკოსი ბროსე და არც პროფესორი ცაგარელი მტკნარ უმეცრად არავის არ ჩაუთვლია, და არც ამ გასწორებას ფასი დაუკარგავს მათის შრომისათვის. მე არ ვიცი არც ერთი მოღვაწე, რომელიც ჩვენს წარსულს ცხოვრებას იკვლევდა, თუ იკვლევს, რომ თავისს ნაწერში შეცდომები არა ჰქონდეს. საზოგადოდ ძნელად თუ სადმე მოიპოვება ისეთი ნაწერი და გამოკვლევა, რომელშიაც შეცდომები არ იყოს.

კორექტურული შეცდომები და გამოტოვებული სიტყვები რომ ბევრი აღარ გამოსულა ჩვენს წიგნებში, მოსე ჯანაშვილს ოცნებისთვის მიუმართავს და გვისწორებს, რომ „ზეცით გარდამო“-ს მაგიერ „ზეცით გარდამოსულთა“ უნდაო, მაშინ როდესაც დედანში გაირჩევა მხოლოდ „გარდამ“ და ეტყობა, რომ მერმე რაღაც ერთი ასო ყოფილა კიდევ და სხვა არაფერი, ჩვენ მიუმატეთ „ო“, მაგრამ მოსე ჯანაშვილის ოცნებას „ოსულთა“ მიმატება უმჯობინებია; „ხორხსა“ მაგიერ „ხორხად“ უნდა წაკითხვაო. დედანში უკანასკნელი ორი ასო წაბღალულია და ჩვენზეა დამოკიდებული „სა“ მივუმატოთ, თუ „ად“. „არტაკრად“ არ უნდა წავიკითხოთო, არამედ „ანტაკრად“-ო. ჩვენ ეხლაც ისე მტკნარი უმეცარი ვრჩებით, როგორც ვყოფილვართ, და ამ სიტყვას დედანში ისე ვკითხულობთ, როგორც წავიკითხავს. აქვე შევნიშნავთ, რომ უთავო „ნ“ ამ ხელ-ნაწერში არსად არ მოიპოვება. „იყო“-ს მაგიერ „იწყო“ უნდაო. დედანში მხოლოდ „იყო“ მოჩანს და „წ“ არ არის. „და იწყეს“ მაგიერ „დაიწყეს“ უნდაო. ძველს ხელ-ნაწერში ეს ორი სიტყვა ყოველთვის ცალკ-ცალკე იკითხება. დედანში სწერია „მას ჟამსა მე, ასული ჩემი“. სხვა ვარიანტების შედარებით ჩვენ დავსწერეთ „მას ჟამსა მე და ასული ჩემი“, მაგრამ როგორ წარმოვიდგენდით, თუ ამ „და“-ს მიმატებას, რომელიც აქ აუცილებელი საჭიროა, ჩვენ უმეცრებად ჩაგვითვლიდა ვინმე. ჩვენ ვკითხულობთ „ფარვიდეს“, მოსე ჯანაშვილი „ვიდრემდის“. დედანში ასო „ფ“ და „ვ“ ისე წაავავს ერთმანეთს, რომ ზოგჯერ სრულიად არ გაირჩევა ერთი ერთმანეთისაგან. ამას გარდა ეს სიტყვა შემოკლებით არის დაწერილი და შეგვიძლია „ვრს“-ად მივიღოთ და შეგვიძლია „ფრს“; პირველს შემთხვევაში უნდა წავიკითხოთ „ვიდრემდის“ ისე, როგორც ბ-ნი ჯანაშვილი კითხულობს, მეორე შემთხვევაში „ფარვიდეს“ ისე, როგორც მე ვკითხულობ. ვარიანტების შედარებით და აზრის მიხედვით მე უპირატესობა მივეცი მეორე კითხვას და სრულად ეს ფრაზა ასე წავიკითხე: „და ტიროდა იგი, და მეფე, და ყოველნი მთავარნი, და ყოველი იგი სიმრავლჱ ერისაჲ, მამათაჲ და დედათაჲ, და ყრმათა ჩჩვილთა ჟივილი „ფარვიდეს“; მთანიცა კმას-ცემდეს (გ. 59); „ფარვიდეს“ მაგიერ თუ აქ „ვიდრემდის“ წავიკითხეთ, მე მგონია, უაზრობა გამოვა. ხშირია ისეთი ადგილები ყოველს ხელ-ნაწერში, რომ გადაჭრით არ შეიძლება თქმა, რომელი კითხვა უმჯობესია. ამ შემთხვევაში უნდა ითქვას, „მე მგონია ასეაო“. დედანში სიტყვა თაყვანის-ცემდის სხვა-დასხვა ნაირად არის ნაწერი. ზოგჯერსწერია შემოკლებით „თყნის“ (ყარზე პატივი აქვს), ზოგჯერ სწერია „თაყუანის“ და ზოგჯერ „თავყუანის“, ასე რომ ერთ გვარი მართლ-წერა არ არის გატარებული ამ სიტყვაში. ჩვენც ზოგჯერ „თაყუანის“ დავსწერეთ და ზოგჯერ „თავყუანის“. მოსე

ჯანაშვილი ამტკიცებს, რომ დედანში ყოველთვის „თავყუანის“ სწერია და ე. თაყაიშვილს ყოველთვის „თაყუანის“ უწერია. არც ერთი და არც მეორე მართალი არ არის. რომ დედანში ზოგჯერ თაყუანის სწერია, ამის დასამტკიცებლად ნახეთ მე—458 გვ. დედნისა, სადაცა სწერია: „ცეცხლისა და ქვათა და ძელთა თაყუანის-სცემდეს“. რომ ჩვენს შრომაში „თავყუანის“-აც სწერია, ამის დასამტკიცებლად იხილეთ მე-69 გ. „ნინოს ცხოვრებისა“, სადაცა სწერია: „და პატიოსნისა ძელისა თაყუანის ცემითა“. ჩვენ გვიწერია „ღუთისა“ (გ. 11), ჯანაშვილი კითხულობს „ოფლისა“ (? გ. 454?) დედანში სტორედ ისე სწერია, როგორც ჩვენ მოგვყავს და არ ვიცი, სხვაფერ რათ მოეჩვენა ბ-ს ჯანიშვილს. ამას გარდა ბ-ნი ჯანაშვილი დაბეჭდილის კითხვაშიაც სცდება, ჩვენ გვიწერია „და გამოვიდოდა“, ის კითხულობს „და გამოვიდა“. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგიერთს სიტყვას უმალ მეც ისე ვკითხულობდი, როგორც ბ-ნი ჯანაშვილი კითხულობს, მაგრამ ვარიანტების შედარებამ, აზრმა წერილისამ და სხვებთან აზრის გაზიარებამ შეგვაცვლევინა პირვანდელი კითხვა, და მე მგონია, სამართლიანადაც.

ვნახოთ ეხლა, თვით როგორ კითხულობს ხელნაწერებს აგრე გაკადნიერებული მოსე ჯანაშვილი. ძველს ხელ-ნაწერი არაფერი დაუბეჭდია, მაგრამ როგორ წაიკითხავდა ძველს, იქიდგანაც დავინახავთ, თუ როგორ კითხულობს ახალს, მხედრულის ხელით ნაწერს, რომელიც ყველასათვის ადვილია. მოსე ჯანაშვილი ხშირად ჰბეჭდავს გაზეთში გუჯრებს, თუ სხვა ისტორიულს წყაროებს და ხშირად კორექტურასაც თვითონ ასწორებს, ეს წერილები ყოველთვის სავსეა შეცდომებით. ავიღოთ, მაგალითად, „ანუკა ბატონიშვილის მზითვის წიგნი“, რომელიც მან დაბეჭდა გაზ. ,,ივერიაში'' (იხ. ,,ივერია'' 1889 წ. № 234, 235). ხელ-ნაწერი მეთვრამეტე საუკუნისა არის და ეკუთვნის „წერა-კითხვის საზოგადოებას“, № 1287. ტექსტს წერილისას უჭერია ფელეტონ ნახევარი. აღვნიშნოთ ჩვენც შეცდომები და მესამე შეცდომას შეცდომად ნუ ჩავთვლით, ვინაიდგან იგი ჩვენ აზრით აღვადგინეთ და არავისთვის სავალ-დებულო არ არის:

| მ. ჯანაშვილი. | დედანი. |
|---|---|
| 1, სამარადისებითა | სამარადისოებითა (გვ. 1). |
| 2, არ განუყოფელმან | არ განყოფილმან (გ. 1). |
| 3, და... განკვირვება ადამსა ზედან | და (ქმნა ღმერთმა)ნ განკვირვება ადამსა ზედან (2). |
| 4, და მოიყვანა იგი ამისად | და მოიყუანა იგი ადამისად (3). |
| 5, ძვალი ძვალთა შენთანი და ხორცნი ხორცთა შენთანი | ძვალი ძვალთა ჩემთანი და ხორცნი ხორცთა ჩემთანი გვ. 3. |
| 6, ამას ეწოდოს ცოლი | ამას უწოდოს ცოლი გვ. 3. |
| 7, შეეყოს | შეყოს გვ. 3. |
| 8, მოგითხრესთ | მოგითხრნესთ გვ. 3. |
| 9, დაბადებულნი | დამბადებელნი გვ. 3. |
| 10, განმრინებელი | განმარინებელი გვ. 3. |
| 11, მუხასა მამრესა | მუხასა მამბრესა გვ. 3. |
| 12, ზღვამდე | ზღვადმდე გვ. 4. |
| 13, ქალაქსა მცხეთას | ქალაქსა შინა მცხეთას გვ. 6. |
| 14, ზნებით | ზნეობით გვ. 7. |
| 15, მევენებლეთა | მეუნებელთა გვ. 7. |
| 16, მიმჰირნესა | მომჰირნესა გვ. 7. |
| 17, მთვარისა | თვარისა გვ. 7. |
| 18, მისადვე სახედ გავსილი | მისავე სახით გავსილი გვ. 7. |
| 19, უებრად სახედ ხინჯ-დაუდებელი | უებროდ სახედ სინჯ-დაუდებელი გვ. 7. |
| 20, აკურთხოს | აკურთხნეს გვ. 8. |
| 21, იოაკიმე და ანნა | იოკიმ და ანნნა გვ. 8. |
| 22, სახლსა უფლისათა | სახლსა შინა უფლისათა გვ. 8. |
| 23, და ველნი მათნი აღივსნენ სიპოხითა | და ველნი მათნი აღივსნენ სიპოხითა. და წარგვიტანების ზითევი თანა, რომელსა მრავალთაგან მცირედსა მოგითხრობთ გვ. 8. |
| 24, ნიშაბურის ფირუზითა | ნიშაბურ ზის (sic) ფირუზითა გვ. 9. |
| 25, ჯვარი თოთხმეტის ზურმუხტითა. | ჯვარი ოთხმოცის ზურმუხტითა გვ. 9. |
| 26, კიდევ სახარება სამებისა ერთი | კიდევ სახარება სამბისა (sic. უნდა იყოს სტამბისა და არა სამებისა, როგორც ჯანაშვილი ასწორებს) ერთი გვ. 10. |
| 27, სერის (საეროს) | სეროს (საეროს). |
| 28, კიდევ სხვა წვრილი | კიდემ სხვა წურილი გვ. 10. |
| 29; ხოშარი (რამოდენიმეჯერ ავრე) | ხოშორი გვ. 11. |
| 30, თავისის მურასას ჯაჭვებითა. | თავისისის ოქროს მურასას ჯაჭვებითა 11. |
| 31, საყურე წყილი | საყური წყვილი გ. 11. |
| 32, დიდროვანი მარგალიტიც | დიდროვანი მარგალი გვ. 11. |
| 33, არის მარგალიტი დიდროვანი ასი | არის მარცვალი დიდროვანი მარგალიტი ასი გვ. 13- |
| 34, უმარილის სალესავი ერთი მისის ვერცხლის ნალბაქითა | უმარილის სალესავი ერთი მისის ვერცხლის სინითა, წვრილი ფიალა ვერცხლისა ერთი თავისის ვერცხლის ნალბაქითა გვ. 14. |
| 35, ოქროს მოჰედილი სარკე | ოქროთ მოჭედილი სარკე გვ. 14. |
| 36, პირსახოცი ორი | პირისახოცი ორი 14. |
| 37, ამისვე დარაისა | ამისი დარაისა გვ. 14. |
| 38, დარი - ბაზთისა ცხრა | დარაი-ბაზთისა ცხრა გვ. 15. |
| 39, ყრმისა სამი | ყირმისა სამი 15. |
| 40, დარაისა ახალუხი | დარაისა არხალუხი |
| 41, ღილითა ხრიკებითა | ღილითა და ხრიკებითა გვ. 16. |
| 42, ჩაღალულის გილანურის ღილითა | ჩაღილულის გილანურის ღილითა გვ. 16. |
| 43, დიდი ნიმთალის ნაქსოვი ტყავი ერთი | დიდი ნიმთალის ნაქსოვი ტყავი ერთი 19. |
| 44, და მარგალიტის საყბეურითა | და მარგალიტის სამკაულითა კარგითა და პატიოსნის მარგალიტის საყბეურითა გვ. 20. |
| 45, დიბისა სისამურით დაბეწვილი | დაბისა სიასამურით დაბეწვილი გვ. 20. |
| 46, კაბა საგულისა ოქრო - ქსოვილის სარტყლებითა | კაბა საგულითა ოქრო-ქსოვილის სარტყლებითა გ. 20. |
| 47, ყოველის რიგის | ყოვლის რიგის გ. 21. |
| 48, თახჩა და ფუჩი (ფეჩი) ექვსი | თახჩა-ფუჩი ექვსი გვ. 22. |
| 49, აგარდანი ერთი | ავგარდანი ერთი გ. 23 |
| 50, სუფრა ყაშული ერთი | სუფრა ყაშუხი ერთი გვ. 24. |
| 51, ჩულითა და საკრავებითა | ჩულითა და საძგრავებითა გვ. 25. |

უწყის ღმერთმა და ბ-მა მოსემ, რომ მე შეცდომად არ აღმინიშნავს მოსესთვის მართლ-წერა დედნის სიტყვებისა, როგორც მაგალითად „უკვდავ“ „უკუდავ“-ის მაგიერ, „წვრილი“ „წურილი“-ს მაგიერ, „კვერნით“ „კუერნით“-ის მაგიერ, „ქვაბი“ „ქუაბ“-ის მაგიერ, „გულანური“ „გილანურის“ მაგიერ და სხვა. მაგრამ ბ-ნს მოსეს, თითქო განგებ, ორი იმდენი, სწორედ ორი იმდენი, შეცდომა მოსვლია ამ ერთს გუჯარში, რასაც ჩვენს ორს წიგნში უჩვენებს. ნეტავი ვიცოდეთ, ამდენი შეცდომა ამ ერთს გუჯარში „დაუდევრობით, გაუგებრობით, თუ მტკნარის უმეცრებით“ მოუვიდა ბ-ს მოსეს? ჩვენ შორს ვართ, რომ ან ერთი, ან მეორე, ან მესამე „ეპიტეტი“ ვუძღვნათ ჩვენს მოსეს. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ტექსტი ნაწერია თითქმის ნახევარ აღლის სიგძე ასოებით ისე გარკვევით და ნათლად, რომ ყველა მოსამზადებელ კლასის შეგირდს შეუძლია გაარჩიოს, თითქო გადამწერს სცოდნია, რომ ეს წერილი ბ-ნს მოსეს ჩაუვარდებოდა ხელში, და აღარ მოუკლია ცდა, რომ გარკვევით დაეწერა. აი, ასეთი წამკითხველი და გამრჩეველი ხელ-ნაწერისა გვეძახის ჩვენ „მტკნარს უმეცარს“. უმალ „ერთი საუკეთესო მკითხველი ვიყავი“, დღეს „მტკნარი უმეცარი“ ვარ, გუშინ ცამდის აგვიყვანა, დღეს მიწასთან გაგვასწორა, გუშინ ქება-დიდება შეგვასხა, დღეს ლანძღვა-გინებით მოგვმართა! ნეტავი ჩვენი ლანძღვა-გინება „მოსეესომს“, „მოსე-ესომის“ როლიდგან გამოიყვანდეს და აღამაღლებდეს, თორემ მიგვიცია ფიცი მტკიცი, მოსესაგან არაფერი ვიწყინოთ, არც გამოვესარჩლოთ, არც კვლავ შეცდომები ჩამოვუთვალოთ, არც მის ნაწერებში პირველი საუკუნიდგან მეთვრამეტეში და მეთვრამეტიდგან პირველში მალაყით გადასვლა და ანახრონიზმები ვუჩვენოთ, ან ის შევნიშნოთ, რომ მეჩვიდმეტე საუკუნის წერილი პირველ საუკუნის საბუთად არ გამოიყენება, ან ის ვუჩვენოთ, რომ ათჯერ დაბეჭდილი და ცნობილი წყარო უცნობი არ არის და სხვა. ჩვენ ყველა ამაებს დავიდუმებთ, როგორც დაგვიდუმებია, და გზას აუვლით, ოღონდ-კი, ოღონდ-კი „ესომ-მოსე“ „ესომ-მოსეს“ როლიდგან გამოვიდეს და „ისტორიკოს-არხეოლოგ-ლინგვისტის“ სახელი მოიხვეჭოს.

ექ. თაყაიშვილი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

როგორც ჩვენს გაზეთშიაცა გვქონდა მოხსენებული, რომის პაპმა ლევ მე-XIII, სხვა პაპებთან შედარებით, დიდი გულის ტკივილი ქვეყნისა გამოიჩინა იმითი, რომ გამწვავებულს საეკონომიო მდგომარეობას ევროპისას ყურადღება მიაქცია, შეისწავლა ეს საგანი და ასე თუ ისე სცდილობს ამ ევროპის წყლულს გზა რამ უპოვნოს ხსნისა. იმისმა ცდამ ჯერ-ჯერობით იმითი იჩინა თავი, რომ პაპმა ლევ მე-XIII დასწერა ენცეკლიკა, რომელსაც „მუშათა მდგომარეობა“ ეწოდება. ჯერ-ჯერობით მხოლოდ ლათინურად არის დაბეჭდილი ეს ენციკლიკა, ხოლო ამ დღეებში უნდა გამოვიდეს თვით პაპის მიერ გადათარგმნილი ესევე ენცეკლიკა იტალიურსა და ფრანგულს ენებზე და აგრეთვე ინგლისურადაც, კარდინალ მონინგის ხელ-მძღვანელობით შედგენილი. ვილჰელმ II-ს, გერმანიის იმპერატორს, მიულოცნია პაპისათვის, უთქვამს, რომ დიდი სიკეთე დასდეთ მუშათა მდგომარეობის გადასაწყვეტს საქმესაო, და დაჭპირებია, მილიონობით გავავრცელებ გერმანელ მუშათა შორისო. გაზეთების სიტყვით,

ენციკლიკა იმითი იწყებს, რომ ნათქვამია, სოციალური საგანი, ფრიად რთული საგანია და საგნის ასე თუ ისე გადაჭრა-გადმოჭრას ბევრი გარემოება უწყობს ხელს. დიდი შეცდომა იქნება, იმას ვფიქრობდეთ, ვითომ სახელმწიფოს შეუძლიან, თავისის ნებით ჩაერიოს კერძო საქმეებშიო. რასაკვირველია, შესაძლებელია ასეთი ჩარევა, როცა კერძო კაცნი დიდად უბედურნი არიან, მხოლოდ ისიც იმ შემთხვევაში, თუ დახმარების აღმოჩენა ჰსურს სახელმწიფოს და კერძო კაცთა უფლებას არ არღვევს. პაპი ამბობს, რომ კაპიტალისტებისა და პროლეტარიების მორიგება შეუძლებელია, თუ ეკკლესია არ დაეხმარეთ ამ საქმეშიო, და ასახელებს რამდენსამე მაგალითს იმისას, თუ რა სამსახური გაუწევია ეკკლესიას, რომ ხელ-მოკლე მუშათა ხვედრი გაეუკეთესებინა როგორმე. უმთავრესი შეცდომა იმითი მოსდით, რომ შეძლებულნი და შეუძლონი, კაპიტალისტები და პროლეტარიები ერთმანეთის საუკუნო მძვინვარე მტრებად მიაჩნიათ და ის-კი ავიწყდებათ, რომ ურთიერთმნეოდ ესენი ვერ ისულდგმულებენ— კაპიტალი უმუშა-ხელოდ უნაყოფოა და მუშა-ხელი უკაპიტალოდ. პროლეტარიამ ზარალი არ უნდა მოუტანოს კაპიტალისტებს და ძალ-დატანება არ იხმაროს, რადგან ეს ფრიად მოსაწონი და კარგი საშუალებაა უფლებათა მისაღწევად. უწესოება არ უნდა ჩაიდინონ ხოლმე და უიმედო იმედებს დაემყარნენ, იმ იმედებს, რომელთაც ზოგიერთნი შფოთის ამტეხნი ჩასჩურჩულებენ წასაქეზებლად ყურში. კაპიტალისტებიც თავისის მხრივ პატივს უნდა სცემდნენ თავისს მომუშავეებს, ვითარცა ადამიანთა და ქრისტიანთ, და მეტის-მეტადაც არ უნდა გაუჭირონ საქმე. მუშათა ბედის შესამსუბუქებლად, პაპისავე აზრით, ეკკლესია მადლენს ვერას იზამს, თუ ადამიანიც არ დაეხმარა. სახელმწიფო უნდა ჰზრუნავდეს, როგორც საზოგადოდ მთელის საზოგადოების კეთილდღეობისათვის, ისე იმის ცალკე წევრთა სიკეთისათვისაც; მან უნდა შეიტკიოს თავი, რომ საერთო გარდასახადი სამართლიანად იყოს განაწილებული, ნება არ უნდა მისცეს მუშებს უწესოების ჩადენისა. მეორეს მხრით, რადგან ხშირად ხელ-ფასის სიმცირე ასტეხს ხოლმე აურზაურს, დიდად მავნებელს კერძოდ მუშათა და ფულის პატრონთათვის და საზოგადოდ მრეწველობისა და საზოგადოებისათვის, მთავრობამ ამ გარემოებასაც დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს. მანვე უნდა იზრუნოს, რომ მუშანი მეტის-მეტად, შეძლების გარეშე არა ჰმუშაობდნენ, რადგან ძალას და ღონეს ყოველ ადამიანისას თავისი საზღვარი აქვს და ამ საზღვარს არ უნდა გადააბიჯონ. ამიტომ ყოვლად საჭიროა, რომ მუშაობის ვადა განსაზღვრული იყოს. ამას გარდა, თუმცა სამართლიანობა თხოულობს, რომ მუშა-კაცმა, რაკი ერთი იკისრა საქმე, თავისი პირობა პირ-ნათლად შეასრულოს, მაინც იმდენი სასყიდელი-კი უნდა მიეცეს, რომ თავისი მოთხოვნილებანი დაიკმაყოფილოს და ცხოვრება შეიძლოსო.

დასასრულ პაპი ამბობს, რომ ყოველ ამ საგნის გამოსარკვევად სახელმწიფომ უნდა იზრუნოს, სახელმწიფო უნდა გაუხდეს შუამავლად ფულის პატრონებსა და მუშა-ხელის პატრონებს და არც ერთს ერთმანეთი არ დააჩაგვრინოს. ისეთი კანონი უნდა გამოიცეს, რომ კერძო საკუთრება დაცულ იქმნას. აგრეთვე დიდს სარგებლობას მოიტანენ სხვა-და-სხვა სამადლო და საქველ-მოქმედო საზოგადოებანი, შეუძლოთა და ხელ-მოკლეთა დასახმარებლად და შემწეობის აღმოსაჩენად დაარსებულნი. საჭიროა, რომ, რაც შეიძლება, საჩქაროდ მიჰყონ ამ საქმეს ხელი, თორემ შეიძლება, ეს სენი ისე გამწვავდეს, რომ შემდეგ მისი წამლობა და მკურნალობა ყოვლად შეუძლებელი გახდესო.

## დეპეშა

1 ივლისს

**პეტერბურგი.** ,,Нов. Вр.'' იუწყება, 25 ივნისს მინისტრთა კომიტეტმა დაადგინა: აწვე ხმარებულ უნდა იქმნას ყოველი ღონის-ძიება ხალხის უზრუნველ საყოფელად საზრდოთი და ამ საგნისთვის სათანადო დაწესებულებათ მთავრობისას შეუძლიანთ, დახარჯონ სიმშილობის დროისთვის გადადებული თანხა. მინისტრს ნება ეძლევა, თუ საჭიროება მოითხოვს, საგანგებო შემთხვევათათვის გაიღოს ხოლმე ფული. ერობანი და სხვა დაწესებულებანი ეხლავე უნდა შეუდგნენ ზრუნვას დ მოიპოვონ საჭირო ჰინახული, რომელიც უნდა გაუნაწილონ მცხოვრებთ, როგორც მინდვრების დასათესად, აგრეთვე გაჭირვებულ ხალხის გამოსაკვებად. ჰინახულის თადარიგი უნდა გასწიონ მცხოვრებთა იმ ნაწილისათვისაც, რომელსაც შეუძლიან წრევანდელის მოსავლით რამდენიმე ხანი იკვებოს, მაგრამ შემდეგ-კი დააკლდება. შინაგან საქმეთა მინისტრს ნება ეძლევა, მოელაპარაკოს ხოლმე ფინანსთა მინისტრს და შესაფერი ღონის-ძიება იხმაროს, რომ პურით ვაჭრობა არავინ არ იგდოს ხელში და არ გააძვიროს; და დაეხმაროს, რომ სხვა-და-სხვა ადგილს პური გაიაფდეს. შინაგან საქმეთა მინისტრი ადგენს განსაკუთრებულს კომისიას, რომელმაც პურის მაღაზიებს საქმის განკარგებაზე უნდა იზრუნოს და გამოიანგარიშოს, თუ თითოეულს მაღაზიაში ყოველთვის რამდენი ჰინახული უნდა ინახებოდეს.

**კონსტანტინოპოლი.** შაბათს სულთანმა ინახულა ბოლგარელი წარჩინებულნი: ვულკოვიჩი და ნაჩევიჩი. ამ გვარი ამბავი აღარ ყოფილა მას შემდეგ, რაც ბატენბერგმა ხელი აიღო ბოლგარიის ტახტზე.

**პეტერბურგი.** დღეს შემოიღეს პეტერბურგის გუბერნიაში 1889 წ. 12 ივლისის დებულება საეროზო უფროსებისა. საეროზო უფროსნი, სამაზრო წევრნი, და საგანყოფილებო ამხანაგი პროკურორისა შეიკრიბნენ პარაკლისზე, რომლის წინადაც პეტერბურგის გუბერნატორმა სიტყვა წარმოსთქვა და განმარტა უფლებანი და მოვალეობანი მომავალის სამსახურისა. პარაკლისს შემდეგ საუზმე გაიმართა გუბერნატორისას.

**ეკეპესი.** მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი გუშინ იოლკინს მიბრძანდნენ ეკეპესის მახლობლად.

**ლონდონი.** იმპერატორი და დედოფალი გერმანიისა მივიდნენ გამფილდში მარკიზ სალისბერის სანახავად. დღეს ვინდზორში იმპერატორი გამოემშვიდობა დედოფალს და საღამოზე მიემგზავრება ედინბურგს.

**ვენა.** პეშტის მართებლობის გაზეთში მოხსენებულია პოლიციის მიერ ჩამორთმეული ჩვენება შესახებ იმპერატორის ფრანც იოსების ჟაულში ყოფნის დროს მომხდარის დემონსტრაციებისა. თურმე დემონსტრაციაში მომეტებული მონაწილენი ელაჩიჩის ქვეითის ჯარის კაცნი ყოფილან, რომელიც „ჟივიო“-ს გაიძახოდნენ უწესოების დროს. ისინი ხროვა-ხროვა დადიოდნენ თურმე ქალაქში და ებრძოლებოდნენ ხიმტიანს ვენგრიელებსა და იტალიელებს, რომელნიც „ევიენ“-ს გაიძახოდნენ. ზოგიერთს აფიცერს მოსწონდა ეს ამბავი და ერთმა კაპიტანმა სთქვა კიდეც, სროლა მინდოდა დამეწყო ვენგრიელებისა და იტალიელებისთვისაო. ამ საქმეს მგონი რეიხსტაგში გაარჩევენ.

—

**შეცდომის გასწორება** 100 თუმნიანს მოგებებში №№ 776/21 და 17721/45 მაგიერ უნდა იყოს №№ 7760/31 და 17921/45.

2 ივლისს

**პეტერბურგი.** ფინანსთა სამინისტროში დაიწყეს და ადგენენ პროექტს საანგარიშო პალატის დაარსებისას, როგორც დასავლეთს ევროპაშია, რომ გააადვილონ საბანკო და საკომერციო ანგარიშების წარმოება. საანგარიშო პალატაში სხვა-და-სხვა ოპერაციები უნდა აწარმოვონ ბანკისაგან ნდობილმა კაცებმა, რომელნიც წარადგენენ იქ ლიკვიდაციისთვის თავიანთს ვექსილებს, ანგარიშებს და ვადიანს ქაღალდებს და სხვ.

სამკურნალო ფაკულტეტებს ყველა უნივერსიტეტისასა და სამხედრო სამკურნალო აკადემიისას გარდაეცა განსახილველად საერო განათლების სამინისტროს მიერ შედგენილი პროექტი კანონებისა შესახებ გამოცდათა სამკურნალო მეცნიერების დოქტორობის ხარისხის მისაღებად.

პეტერბურგის ბირჟა, 28 ივნისი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — ,, | — ,, | 7, 28 |
| ტამოჟნის კუპონები . | — ,, | — ,, | $146^{1}/_{4}$ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . . | — ,, | — ,, | 1, 05 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 244 |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 225 |
| —მესამისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურთაის ბანკის ფურცელი, . , , , | $211^{3}/_{4}$ | — ,, | $210^{3}/_{4}$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით, ნაშუადღევის 4 საათზე მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურში შეივლის).

კვირაობით, საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს, შორის გზით.

პარასკეობით, დილით-ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შეივლის).

შაბათობით, დილით, სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე დამასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით, დილის 9 საათზე, და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყიზირიმისა და რუმელია ანატოლისკენ წამსვლელ გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამის გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

# განცხადებანი


## მ. მურტაგი

კვლავ განაგრძობს ინგლისურ ენის სწავლებას ზაფხულში: კვირაში ოთხს დღეს კოჯორში და სამს დღეს ტფილისში. რამდენიმე თავისუფალი საათი კიდევ დარჩა. თავ-მდებია იმისა, რომ მოსწავლეს კარგად გამოთქმას შეასწავლის.

ადრესი: ტფილისში—ლაბორატორის ქუჩაზე, წურინოვის სახლის ეზოში, კოჯორში—„კოპპის“ სასტუმროში. (3—85—1)

დაიბეჭდა და ისყიდება წერა-კითხვის სამმართველოში და „ქართულ წიგნების გამომცემლ ამხანაგობის“ მაღაზიაში.

## გიორგი ვაშინგტონი

თარგმანი ნ. ბარნაბიშვილის მიერ,

გამოცემული

ზ. ჭიჭინაძისაგან

ფასი 30 კაპ.

(3—0—1)

ქართველთა ამხანაგობის წიგნების მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| პატიოსანი ადამიანი . . | „ | 5 |
| ლენტის მსგავსნი ჰიები ი. თ. . . . . . | „ | 5 |
| მეფე დავით აღმაშენებელი, ისტორიული დრამა თ. ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანისა . . . | „ | 40 |
| უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა, ვიქტორ ჰიუგოსი, ფრანგულით თარგ. თ. სახოკიასი. . . . . | „ | 30 |
| სამნი ბრძენნი, ილ. ოკონთელისა. . . . . | „ | 20 |
| ძმური სიტყვა. დ. მაჩხანელისა . . . . . | „ | 25 |
| იქავე ისყიდება-**თორნიკე ერისთავი,** ისტორიული პოემა აკაკისა . . | 1 | „ |

—

ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე, ქალაქის შუა-გულს ალაგას, ახალი ნომრები

## დ ა ნ ი ა

მშვენივრად და სუფთად მორთული ოთახები 60 კაპ. ვიდრე 5 მანათამდე დღეში; თთვიურად ბევრი დაეთმობათ. საჭმელი ახალი და გემრიელია. (36—86—1)

საგალანტერიო მაღაზია

## პ. ი. ბროდსკისა

**გადავიდა** შუა-ბაზარში, კათოლიკეთა ქუჩის კუთხეზედ, სადაც წინად მერაბოვის ლამპის მაღაზია იყო. (20—72—18)

გამოიცა ალექსანდრე როინაშვილის მიერ

## „ძმური სიტყვა“

### დ. მაჩხანელისა

და ისყიდება შემდეგს ადგილებში:

ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ და ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში;

ქუთაისში ძმ. წერეთლების წიგნის მაღაზიაში;

გორში არსენ კალანდაძესთან;

თელავში ილია ზარაფოვთან;

სიღნაღში კოტე ბალაშვილთან და კოტე ნადირაშვილთან.

ოზურგეთში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში.

წიგნი ღირს ხუთ შაურად. ვინც 10 ცალს ერთად იყიდის გამომცემლისაგან, აბაზად დაეთმობა. (10—79—5)

## ქუთაისის თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ ბანკის წესდების მე-18 § ძალით ქვემორე მოხსენებულს რიცხვებში ქ. ქუთაისში, ბანკის გამგეობის სადგურში, საზოგადო ვაჭრობით გასყიდულ იქნებიან ხსენებულს ბანკში დაგირავებულნი უძრავნი მამულნი ქვემო აღნიშნულთა პირთა, შესახვედრ გარდასახადთა შემოუტანლობისა გამო.

გასყიდვა მოისპობა მხოლოდ იმ მამულებისა, რომელთა მეპატრონენი, თანახმად ბანკის წესდების მე-19 §-ისა, შეავსებენ ბანკის გარდასახადს და თან განცხადებათა ხარჯებს.

ვაჭრობა დაიწყება ქვემო მოყვანილის თავნის ფულიდამ ზედ დამატებით სხვა-და-სხვა შეუვსებელის გარდასახადისა, მამულის გასასყიდლად დანიშვნაზე ხარჯებისა და, საზოგადოდ, ყველა იმ ფულისა, რომელიც ბანკს თვისის მოვალის სამაგიეროდ დაუხარჯავს; ბანკიდ ხანგრძლივი ვალის თავნის მოსპობა შეიძლება ამავე ბინკის გირაოს ფურცლებით, რომელნიც მიიღებიან სახელდობრივის ფასისამებრ მანეთი მანეთად და აგრეთვე შეიძლება გადატანილ იქმნენ მყიდველზე; ხოლო ვადაზე გადასახადი და სხვა გვარი ბანკის სახვედრო ფული უნდა შემოტანილ იქმნენ ნაღდად.

ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება სურთ, მათ შეუძლიათ გასასყიდელთ მამულთა აღწერილობის და საბუთების განხილვა ბანკის სამართველოში.

თუ ეს ვაჭრობა არ შესდგა, მაშინ, ბანკის წესდების 24 § საფუძველით, ინიშნება მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა, 28 აგვისტოს 1891 წელსა.

ვაჭრობა 12 აგვისტოს 1891 წელსა

### $18^{7}/_{12}$ წლიანნი სესხნი

ქ. ქუთაისს

ვარდანაშვილისა, გიგო მახარობელის ძის: ნემენცის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 15, 42 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 193 მან. 7 კაპ, შესავს. გარდასახადი 67 მან. 90 კაპ., სულ 260 მან 97 კაპ.

დარასველიძისა, მიხაილ ერასტის ძის: ორპირის ქუჩაზე ორი ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 312 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 2182 მან. 77 კაპ. შეს. გარ. 500 მან. 76 კაპ., სულ 2683 მან. 53 კაპ.

თურქიასი, მამუკა კოსტას ძის; ვოკზალის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 2330 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 3835 მან. 50 კაპ. შეს. გარ. 957 მან. 12 კაპ., სულ 4792 მან. 62 კაპ.

მემკვიდრეთა ჩარექოვისა, ელისაბედ სიმონის ასულის: გეგუთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები სარდაფით და მიწა 103 $^{1}/_{2}$ კვადრ. საჟ. თავნი ვალი 997 მან. 20 კაპ. შესავ. გარ. 345 მან. 40 კაპ., სულ 1342 მან. 60 კაპ.

დიასამიძეთა, ნესტორ და სამსონ მიხაილის ძეთა: სათავადო ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 20 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 1068 მან. 8 კაპ. შეს. გარ. 248 მან. 8 კაპ., სულ 1316 მან. 16 კაპ.

მიქელაძისა, ეკატერინა კონსტანტინეს ასულის: ორპირის ქუჩაზე სამოსახლო ადგილი, ზომით 442 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 640 მან. 70 კაპ. შეს. გარ. 152 მან. 80 კაპ., სულ 793 მან. 50 კაპ.

მემკვიდრეთა ფარცვანიძისა, ივანე დავითის ძის: მიხაილის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა $50^{1}/_{2}$ კვადრ. საჟ. თავნი ვალი 1068 მან. 8 კაპ. შეს. გარ. 260 მან. 48 კაპ., სულ 1328 მან. 56 კაპ.

ალიბეგოვთა, ალექსანდრე, იოსებ და ივანე ხვთისოვარის ძეთა: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 14 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 545 მან. 6 კაპ. შეს. გარ. 178 მან. 25 კაპ., სულ 723 მან. 31 კაპ.

მურადოვისა, თომა პავლეს ძის: ბალახვანის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 54 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 583 მან. 75 კაპ., შეს. გარ. 140 მან. 7 კაპ., სულ 723 მან. 82 კაპ.

მემკვიდრეთა მურვანოვისა, პეტრე სიმონის ძის: სილაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 210 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 116 მან. 92 კაპ. შეს. გარ. 39 მან. 70 კაპ., სულ 156 მან. 62 კაპ.

ალიბეგოვთა, იოსებ, ალექსანდრე ივანე ხვთისოვარის ძეთა: ლევაშოვის ქუჩის შესახვევში ორ-სართულიანი სახლი და მიწა 1270 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 505 მან. 96 კაპ. შეს. გარ. 131 მან., სულ 636 მან. 96 კაპ.

ჩოგოვაძისა ვასილ ოქროპირის ძის: ორპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 479 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 252 მან. 87 კაპ. შეს. გარ. 55 მან. 23 კაპ., სულ 308 მან. 10 კაპ.

ლორთქიფანიძისა ნიკოლოზ გიორგის ძის: მესხეთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 667 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 815 მან. 51 კაპ. შეს. გარ. 165 მან. 75 კაპ., სულ 981 მან. 26 კაპ.

რუხაძისა კესარია ათანასის ასულის: ორპირის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 89 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 630 მან. 23 კაპ. შეს. გარ. 104 მან. 37 კაპ., სულ 734 მან. 60 კაპ.

გეგელაშვილისა ანტონ სიმონის ძის: ბალახვანის ქუჩის შესახვევში ორ-სართულიანი სახლი და მიწა 439 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 483 მან. 61 კაპ. შეს. გარ. 113 მან. 60 კაპ., სულ 597 მან. 21 კაპ.

ჟღენტისა ანტონ სპირიდონის ძის: ტფილისის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და მიწა 198 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 1509 მან. 27 კაპ. შეს. გარ. 220 მან. 66 კაპ., სულ 1729 მან. 93 კაპ.

მემკვიდრეთა ზალინოვისა ნიკოლოზ ენოქის ძის: ქარვანსარაიის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები სარდაფით, და მიწა 36 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 5803 მან. 20 კაპ. შეს. გარ. 1040 მან. 53 კაპ., სულ 6843 მან. 73 კაპ.

მესხისა მიხარბეგ ფირანის ძის: ივანოვის ქუჩის შესახვევში ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და მიწა 189 კვადრ. საჟ. თავ-